უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N2 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 6 მარტის N2 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ წესში, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 7 ნოემბრის N11 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N4 სხდომის გადაწყვეტილებით შესული ცვლილებების საფუძველზე, წესი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორების, მასწავლებლების, მეცნიერებისა და მკვლევრების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული უმაღლესი განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე.

2. უნივერსიტეტი მოქმედებს ღიაობის, გამჭვირვალობის, სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად ხარჯვის პრინციპებით; შესაბამისად, უნივერსიტეტი ადგენს აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესს და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

3.აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგით, რომელსაც განიხილავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

1. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ წინადადების ინიცირება შეუძლია:

ა) აკადემიურ საბჭოს;

ბ) ფაკულტეტს/სკოლას;

2. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო. გადაწყვეტილების მიღების შემდგომ გამოიცემა რექტორის ბრძანება ვადებისა და საკონკურსო პირობების მითითებით;

3. ფაკულტეტის/სკოლის მიერ წინადადების ინიცირების შემთხვევაში, ინიცირებული წინადადება წარედგინება აკადემიურ საბჭოს;

4. ინიცირებული წინადადების ფორმა შესაძლოა შეიცავდეს:

ა) ინიცირების მიზანს (ებს);

ბ) აკადემიური თანამდებობის პოზიციის დასახელებას;

გ) აკადემიურ მოთხოვნას (ებს) შესაძლო კანდიდატურების მიმართ.

5. აკადემიურ საბჭოს ან რექტორს შეუძლია ფაკულტეტის/სკოლის ინიცირებულ წინადადებაში შეიტანოს დამატებითი მოთხოვნები შესაძლო კანდიდატების მიმართ;

6. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებას გამოსცემს რექტორი, ამ წესით, უნივერსიტეტის წესდებითა და ,, უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარება:

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპს;

2. კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რომელიც ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ბეჭდურ მედიაში, საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გამოქვეყნდეს პროფესიულ სივრცეებში. საბუთების მიღება წარმოებს არანაკლებ 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო შედეგები ცხადდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 14 კალენდარული დღის განმავლობაში;

3. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსს ატარებს აკადემიური საბჭო ან ფაკულტეტის/სკოლის საბჭო, ან აკადემიური/ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ შექმნილი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი საკონკურსო კომისია. - კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატები აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად წარედგინება რექტორს;

4. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს შეუძლია შექმნას სპეციალური საკონკურსო კომისია ფაკულტეტის/სკოლის პროფესორებისაგან, რომელიც განიხილავს შემოსულ საბუთებს და ადგენს გამარჯვებულს ან პრეტენდენტების სიას; ასეთ შემთხვევაში, ფაკულტეტის/სკოლის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება რექტორს;

5. ისეთ ახალდაფუძნებულ ფაკულტეტზე/სკოლაში, სადაც არ არის არჩეული ფაკულტეტის/სკოლის საბჭო, კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ტარდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით;

6. პრეტენდენტების სიიდან გამარჯვებულის გამოსავლენად აკადემიურ საბჭოს, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს ისევე, როგორც სპეციალურად შექმნილ საკონკურსო კომისიას, შეუძლია დაადგინოს კონკურსის დამატებითი პირობები (საჯარო ლექცია, კვლევითი პროგრამის პრეზენტაცია, არაფორმალური შეხვედრები ფაკულტეტის წევრებთან და სხვა);

7. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტების შესაბამისობას საკონკურსო მოთხოვნებთან ამოწმებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

8. აკადემიურ კონკურსში მონაწილეთა განაცხადები რეგისტრირდება კანცელარიაში და იგზავნება: ფაკულტეტზე/სკოლაში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში, იურიდიულ სამსახურში. ფაკულტეტი/სკოლა საჭიროების შემთხვევაში კონკურსანტის შესახებ მოსაზრებას აცნობებს საკონკურსო კომისიას;

9. საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის შერჩევის შესახებ. კონკურსის დასრულების შემდეგ, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ამზადებს ბრძანების პროექტს კონკურსის შედეგების შესახებ.

10. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური გამარჯვებულთან გასაფორმებელ შრომითი ხელშეკრულების პირობებს ათანხმებს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის დეკანს, რექტორსა და კონკურსში გამარჯვებულთან, რის შემდეგაც ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

11. აკადემიურ პერსონალთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

12. პროფესორის პოზიციაზე ფორმდება უვადო ან ვადიანი ხელშეკრულება, ვადიანი ხელშეკრულების ვადა არის მინიმუმ 1 წელი და მაქსიმუმ 5 წელი;

13. ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე ფორმდება ვადიანი ხელშეკრულება, რომლის ვადაც განისაზღვრება მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 4 წლის ვადით;

14. ასისტენტ-პროფესორის პოზიციაზე ფორმდება ვადიანი ხელშეკრულება არანაკლებ 3 და არა უმეტეს 4 წლის ვადით;

15. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსში ხელახლა გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და პირობების განსაზღვრისას, უნივერსიტეტი ითვალისწინებს აღნიშნული აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის შედეგებს.

მუხლი 4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე:

ა) პროფესორის ვადიან თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე სწავლების გამოცდილება ან/და სამეცნიერო პუბლიკაციები, ასევე, აკმაყოფილებს აკადემიური საბჭოს/ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ სფეროს სპეციფიკის შესაბამისად განსაზღვრულ დამატებით პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბ) პროფესორის უვადო თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ ან/და საერთაშორისო ჟურნალებსა ან/და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, უნივერსიტეტის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება და აკმაყოფილებს აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ პირობებს. აღნიშნული პირობებით არჩეული პროფესორი ხუთ წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უნივერსიტეტის დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე არაუმეტეს 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.

4. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია დოქტორის ხარისხის ფლობის გარეშე პროფესიული ნიშნით, ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების აუცილებელი კომპეტენცია.

მუხლი 5. შრომითი ხელშეკრულების სახეები:

1. აკადემიური თანამდებობის პირებისათვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) უნივერსიტეტში არსებობს ოთხი სახის შრომითი ხელშეკრულება: უვადო, სპეციალური, ვადიანი და საათობრივი ანაზღაურების შრომითი ხელშეკრულება:

ა) უვადო ხელშეკრულება პროფესორს უფორმდება იმ შემთხვევაში, როცა პროფესორს აქვს:

ა.ა) განსაკუთრებული პროფესიული/სასწავლო ან/და სამეცნიერო მიღწევები და აკმაყოფილებს აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ პირობებს.

ა.ბ) აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ ან/და საერთაშორისო ჟურნალებსა ან/და სხვა ბეჭდურ თუ ციფრულ გამოცემებში, მიღებული აქვს აქტიური მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა.

ა.გ) უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება;

ა.დ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი, რომელიც სავარაუდოა, რომ გაგრძელდება მომავალში;

ა.ე) უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში იღებს აქტიურ მონაწილეობას;

ბ) ვადიანი ხელშეკრულება აკადემიურ პერსონალს უფორდმება შესაბამისი პირობებით, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო/სასწავლო და კვლევით პროცესში;

გ) სპეციალური ხელშეკრულება უფრომდებათ იმ აკადემიურ პერსონალს, რომლებიც:

გ.ა) ხანგრძლივი დროით იმყოფებიან საზღვარგარეთ;

გ.ბ.) სხვა რაიმე საპატიო მოტივით ვერ ახორციელებენ შესაბამისი პოზიციისთვის განსაზღვრულ დატვირთვას ან/და უმეტეს სამუშაო დროს იყენებენ კვლევითი საქმიანობისათვის;

დ) აკადემიურ პერსონალთან გასაფორმებელი საათობრივი სემესტრულ ანაზღაურებაზე მიბმული ხელშეკრულება გულისხმობს ჩატარებული სასწავლო და პრაქტიკული/ლაბორატორიული/ექსპერიმენტალური/საველე და ა.შ. კომპონენტების საათების მიხედვით ანაზღაურებას. ასეთი ხელშეკრულებით ანაზღაურება გაიცემა სასწავლო სემესტრის განმავლობაში დატვირთვის შესაბამისად.

მუხლი 6. აკადემიური პერსონალის დატვირთვა

1. აკადემიური პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება სწავლებითა და კვლევით. დატვირთვაში შესაძლებელია შევიდეს ასევე ადმინისტრაციული საქმიანობა;
2. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალის საქმიანობა სასწავლო/საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესში ჩართულობის გარდა მოიცავს ასევე უნივერსიტეტის მესამე მისიაში მონაწილეობას;
3. აკადემიური თანამდებობის მქონე პერსონალის სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება:

ა) პროფესორების შემთხვევაში კვირაში მინიმუმ 6 აკადემიური საათით;

ბ) ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში კვირაში მინიმუმ 8 აკადემიური საათით;

გ) ასისტენტ პროფესორების შემთხვევაში კვირაში მინიმუმ 10 -12 აკადემიური საათით, მათი სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვიდან გამომდინარე;

4. ამ მუხლის მესამე პუნქტის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტებიდან გამონაკლისი შეიძლება დაიშვას იმ აკადემიური თანამდებობის პირის შემთხვევაში, რომელიც ემსახურება მცირეკონტიგენტიან აკადემიური პროგრამებს და ამავდროულად აქვს მაღალი სამეცნიერო მიღწევები, სამეცნიერო პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული, აქვს Scopus-ისა და Web of Science-ის ნუსხაში შემავალ მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ბაზაში მაღალი ციტირების ინდექსი, ასეთ შემთხვევაში მისი სასწავლო დატვირთვა შესაძლებელია იყოს ნაკლები და განისაზღვროს ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. განსხვავებული სასწავლო დატვირთვის შესაძლებლებლობა შეიძლება გავრცელდეს ასევე იმ აკადემიურ პერსონალზე, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო აკრედიტაციის (ABET track) პროგრამების მიმართულებით.

5. იმ შემთხვევაში თუ აკადემიური თანამდებობის მქონე პირები დამატებით დაიტვირთებიან მედიცინის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მათთვის აკადემიური დატვირთვა განისაზღვრება ძირითადი სავალდებულო დატვირთვით მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დაცვით პირველ რიგში ქართულენოვანი პროგრამების ფარგლებში: პროფესორისათვის კვირაში მინიმუმ 6 აკადემიური საათით, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში მინიმუმ 8 აკადემიური საათით, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში მინიუმუმ 10-12 აკადემიური საათით, ხოლო ასეთი დატვირთვის ობიექტურად არარსებობის შემთხვევაში, საათებს შეივსებს ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის ფარგლებში. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო საათების ზემოთ ინგლისურენოვან სამედიცინო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული საათები ანაზღაურებადია დამატებით უნივერსიტეტში მოქმედი წესის მიხედვით.

6. უნივერსიტეტის/საგანამანთლებლო პროგრამის/სკოლის/ფაკულტეტის საჭიროებიდან გამომდინარე აკადემიური პერსონალი ვალდებულია განსაზღვრული მინიმალური საათების გარდა დაიტვირთოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმის მიხედვით.

7. ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი აკადემიურ პერსონალის სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება მინიმუმ 4 აკადემიური საათით კვირაში;

8. სწავლება მოიცავს:

ა)აკადემიურ ანუ სწავლების საათებს;

ბ)სასწავლო საკონტაქტო საათებისთვის მოსამზადებელ დროს;

გ)ცოდნის შეფასების წარმოებას, წერითი ნაშრომების (საგამოცდო, შუალედური, რეფერატული, დავალება და ა.შ.) და საშემსრულებლო პროგრამების შემთხვევაში ასევე ზეპირი

ან/დაპრაქტიკული დავალებების შემოწმება, გასწორება, და ა.შ. ასევე, შეფასებების შეტანა და უკუკავშირის მიწოდება სტუდენტებისათვის;
დ)საგამოცდო ტესტების, საკითხების, თეორიული ან/და პრაქტიკული შემოქმედებითი და/ან საშემსრულებლო ამოცანების და ა.შ. შედგენას;
ე)სასწავლო კურსის განახლებასა და მოდიფიცირებას;
ვ)ახალი სასწავლო კურსის შემუშავებასა და განხორციელებას;
ზ)სტუდენტების კონსულტაციას(ელექტრონული მიმოწერა, ფიზიკური შეხვედრა);
თ) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობას;
ი)შემოქმედებითი ან/და საშემსრულებლო პროექტის ხელმძღვანელობას;
კ) საგანმანათლებლო პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელობას;
ლ) შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ჩატარებას;
მ)დარგობრივი, სააპელაციო, მისაღები კომისიის, სადიპლომო ნამუშევრის, საბაკალავრო, სამაგისტრო დაცვის კომისიის, სადისერტაციო საბჭოს წევრობას;
ნ) საკონცერტო/თეატრალური რეპეტიციების დაგეგმვას და ჩატარებას;
ო) კონცერტების, მასტერ-კლასების, ვორკშოპების, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების, სპექტაკლებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებას;
პ) სხვადასხვა შემოქმედებით პროექტებში სტუდნეტების ჩართვას;
ჟ) სხვა დატვირთვას, რაც ფაკულტეტის/სკოლის ან აკადემიური საბჭოს მიერ იქნება განსაზღვრული.

9. აკადემიური პერსონალის კვლევითი დატვირთვა განისაზღვრება საერთაშორისო და ადგილობრივ რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებით, საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცემებში სტატიის გამოქვეყნებით, მონოგრაფიით/წიგნით/სახელმძღვანელოთი, საგრანტო პროექტების მოზიდვითა და მათში მონაწილეობით, საერთაშორისო კოლაბორაციის წევრობით, სამეცნიერო ჯილდოებით, პატენტებით, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობით, რეცენზენტობით, სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობით, რედკოლეგიის წევრობით და სხვა.

10. ადმინისტრაციული საქმიანობა გულისხმობს უნივერსიტეტში ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისა და საუნივერსიტეტი კოლეგიურ ორგანოების საბჭოს წევრობას.

11. ამ წესისაგან განსხვავებული პირობები აკადემიური თანამდებობის მქონე პირზე შესაძლოა დადგინდეს ფაკულტეტის დეკანისა და უნივერსიტეტის რექტორის შეთანხმების შედეგად, რომელიც აისახება შესაბამის შრომით ხელშეკრულებაში.

მუხლი 7. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირთა დასაქმების პირობები

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, არჩეულ კანდიდატს ეკრძალება იმუშაოს საქართველოში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში აკადემიურ/ადმინისტრაციულ და სამეცნიერო თანამდებობაზე ან

სხვა სახელწოდების იმ სამეცნიერო/აკადემიურ თანამდებობაზე, რომელიც ძირითად საქმიანობად გულისხმობს კვლევასა და სწავლებას;

2. იმ შემთხვევაში, თუ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის ან ასისტენტობის კანდიდატი უკვე არის საქართველოში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/ადმინისტრაციული ან სამეცნიერო პერსონალი, ან უკავია ისეთი თანამდებობა, რომელიც ძირითად საქმიანობად გულისხმობს კვლევასა და სწავლებას, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, აირჩიოს, რომელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობაზე განაგრძობს მუშაობას;

3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირებს, რომლებიც იმუშავებენ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ან/და უნივერსიტეტში განახორციელებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვისა, ეკრძალებათ ასევე საქართველოში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მკვლევრის თანამდებობის ან სხვა სახელწოდების იმ სამეცნიერო თანამდებობის დაკავება, რომელიც ძირითად საქმიანობად გულისხმობს კვლევას;

4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირება გულისხმობს:

ა) უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;
ბ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას, ხოლო ამ საქმიანობიდან გამომდინარე შედეგები ეკუთვნის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს;
გ) აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევით /სამეცნიერო /შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევის აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მიზნებისათვის, "დასაქმებული" ითვლება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირად;
ვ) აკადემიური პერსონალის არ აქვს უფლება აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული ან სხვა რაიმე სახის თანამდებობა დაიკავოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ზ) ,,დასაქმებული” ვალდებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ დაიკავოს მკვლევარის ან სხვა სახელწოდების ის სამეცნიერო თანამდებობა, რომელიც ძირითად საქმიანობად გულისხმობს კვლევას;

თ)პუბლიკაციების/სტატიების გამოქვეყნებისა და სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილების დროს გამოიყენოს უნივერსიტეტის სახელი სრულად;

ი) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა და უნივერსიტეტში მოქმედი წესები და რეგულაციები აფილირებასთან დაკავშირებით;

კ) შრომითი ხელშეკრულებით აკადემიური თანამდებობის მქონე პირი აცხადებს თანხმობას, იყოს აფილირებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან;

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა ამ წესის მიღების თარიღიდან გავრცელდება აგრეთვე უნივერსიტეტში უკვე დასაქმებულ შესაბამის აკადემიურ პერსონალზე. იმ შემთხვევაში, თუ ისინი უკვე არიან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მკვლევრები, ვალდებულნი არიან გონივრულ, არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა აირჩიონ, რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განაგრძობენ მუშაობას;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე პუნქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძველი;

7. ზემოთ ჩამოთვლილ შეზღუდვებზე განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლოა დაიშვას გამონაკლისი რექტორისა ან/და აკადემიური საბჭოს თანხმობით;

8. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი შესაძლოა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური/სამეცნიერო/მკვლევრის პოზიციის დაკავების გარეშე კითხულობდეს ლექციებს, მაგრამ არა უმეტეს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში 30 აკადემიური საათისა, რომლის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უნივერსიტეტის რექტორს. ამ პუნქტით დადგენილ რაოდენობაზე მეტი აკადემიური საათით დატვირთვის შემთხვევაში თანხმობისათვის საჭიროა მიმართოს რექტორის ან/და აკადემიური საბჭოს;

9. ასევე გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ან მის ფარგლებს გარეთ საგანმანათლებლო კვლევით დაწესებულებებს შორის გაფორმებულია ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი, ხელშეკრულება, ერთობლივი პროექტის დოკუმენტაცია ან სხვა სახის შეთანხმება, ხელმოწერილი უნივერსიტეტის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის, სამეცნიერო პერსონალის ან მკვლევრის ასეთი სახის პოზიციის დაკავების შესაძლებლობას. თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, უნივერსიტეტის წესდებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებულ წესებს: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასურის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი დატვირთვა უკვე არჩეული აკადემიური პერსონალისათვის ძალაში შევიდეს 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან და შესაბამისად მოხდეს ცვლილებების შეტანა მათ შრომით ხელშეკრულებებში.